შპს ჯორჯიან კონტემპორარი კონსტრაკშენ

პ. ქავთარაძის №14ა, 22-ე სართული;

ს/კ 404870724

GEORGIAN CONTEMPORARY CONSTRUCTION LTD.

14a, P. Kavtaradze Ave. 22nd Floor;

I/C 404870724

02.04.2020 წ.

საექსპერტო დასკვნა

ქ. თბილისში, ვაკეში, ჭავჭავაძის გამზ. #31-ში (საკ. კოდი 01.14.14.012.043) მშენებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსის მოსაზღვრე ტერიტორიებზე არსებული შენობა-ნაგებობების ურთიერთგავლენასთან დაკავშირებით.

მშენებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი შენობა მდებარეობს ქ. თბილისში, **ვაკეში, ჭავჭავაძის გამზ. #31-ში (საკ. კოდი 01.14.14.012.043)** მშენებარე შენობას ჩრდილოთის მხრიდან ესაზღვრება ცარიელი ნაკვეთი (ს.კ. 01.14.14.005.298), აღმოსავლეთის მხრიდან ესაზღვრება 12 და 8 სართულიანი საცხოვრებელი სახლები (ს.კ. 01.14.14.012.055 და ს.კ. 01.12.12.012.027). საშუალო დაშორება მშენებარე შენობიდან არსებულ შენობებამდე არის დაახლოებით 8-12მ. დასავლეთის მხრიდან მშენებარე შენობას ესაზღვრება 2, 10 და 4 სართულიანი საცხოვრებელი სახლები (ს.კ. 01.14.14.012.003 და ს.კ. 01.14.14.012.048). საშუალო დაშორება მშენებარე შენობიდან არსებულ შენობებამდე არის დაახლოებით 2-3მ. სამხრეთის მხრიდან შენობა გამოდის ჭავჭავაძის გამზირზე.

შენობის გეგმარებითი პარამეტრები: შენობა გეგმაში მართკუთხა ფორმისაა. მაქსიმალური ღერძული ზომებით: 31.70x75.20მ. შენობა კონსტრუქციული თვალსაზრისით გადაწყვეტილია, როგორც ჩარჩოსებრ-კავშირებიანი კარკასული მონოლითური რკინაბეტონის სისტემა. შენობის სართულის მაქსიმალური სიმაღლე, H=5.85 მ; შენობის მაქსიმალური მალი ღერძებში აღწევს L=9.05 მ;

ნაგებობის დაფუძნება გადაწყვეტილია ხიმინჯოვანი საძირკვლის მონოლითური რკინაბეტონის ფილის მეშვეობით, რაც აბსოლუტურად ხისტად ჩაანკერებულია კლდოვან ქანში, სგე-5, გამოფიტული ქვიშაქვებისა (70%) და ძლიერ გამოფიტული არგილიტების (30%) რომლის წინაღობა ერთღერძა კუმშვაზე შეადგენს **R_c=64.9 კგ/სმ².**

ქვაბულის დამუშავების დროს გათვალისწინებულია ქვაბულის გამაგრება შპუნტური კედლებით.

<u>დასკვნა:</u>

გამომდინარე შენობის დაფუძნების პირობებიდან და მოსაზღვრე შენობა-ნაგებობების მდებარეობიდან საპროექტო შენობასთან მიმართებაში ასაშენებელი შენობა საფრთხეს არ უქმნის მოსაზღვრე შენობა-ნაგებობებს (კერძოდ შემდეგ საკადასტრო კოდებზე მდებარე შენობა ნაგებობებს: 01.14.14.012.055; 01.14.14.012.027; 01.14.14.012.003; 01.14.14.012.048), როგორც ნორმირებული მშენებლობის პროცესში, ასევე შემდგომი ნორმალური ექსპლუატაციის პირობებშიც.

შპს „ჯორჯიან კონტემპორარი კონსტრაკშენ“-ის
მმართველი პარტნიორი/მთავარი ინჟინერი:

გიორგი ჩიკვაიძე
ინჟინერიის დოქტორი მშენებლობაში
ევროკოდის ექსპერტ-კონსულტანტი